

ავიასაწვავსერვის ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	14
5. საინვესტიციო ქონება	15
6. ინვესტიციები.....	16
7. მარაგები	17
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
9. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	18
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
12. შემოსავალი.....	18
13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	19
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	19
15. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....	19
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	20

აფიასანგავსერვისი უკუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	5	2,729,189	3,205,688
ძირითადი საშუალებები	6	269,979	24,026
არამატერიალური აქტივები		3,073	2,438
ინვესტიციები	7	1,400	1,400
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,003,641	3,233,552
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	1,642,600	1,158,110
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	324,367	388,717
სავადასახლო აქტივი		128,361	47,316
დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციები	10	3,481,255	2,676,600
ფული და ფულის ექვივალენტები	11	925,626	942,819
სულ მიმდინარე აქტივები		6,502,209	5,213,562
სულ აქტივები		9,505,850	8,447,114
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,155	4,155
სხვა რეზერვები		60,000	-
გაუნაწილებელი მოგება		8,868,200	7,779,502
სულ კაპიტალი		8,932,355	7,783,657
მიმდინარე ვალდებულებები			
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	573,495	663,457
სულ მიმდინარე ვალდებულებები		573,495	663,457
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,505,850	8,447,114

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის შერიდან დამტკიცებულია 2020 წლის 11 თებერვლის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



წინა დაბრუნდამვილი

6-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური გვერდი 3-20

ავიასაწვავსერვის ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	5	2,729,189	3,205,688
ძირითადი საშუალებები	6	269,979	24,026
არამატერიალური აქტივები		3,073	2,438
ინვესტიციები	7	1,400	1,400
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,003,641	3,233,552
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	1,642,600	1,158,110
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	324,367	388,717
საგადასახადო აქტივი		128,361	47,316
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	10	3,481,255	2,676,600
ფული და ფულის ექვივალენტები	11	925,626	942,819
სულ მიმდინარე აქტივები		6,502,209	5,213,562
სულ აქტივები		9,505,850	8,447,114
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,155	4,155
სხვა რეზერვები		60,000	-
გაუნაწილებელი მოგება		8,868,200	7,779,502
სულ კაპიტალი		8,932,355	7,783,657
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	573,495	663,457
სულ მიმდინარე ვალდებულებები		573,495	663,457
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,505,850	8,447,114

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ნინო დაბრუნდაშვილი

6-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ავიასაწვავსერვის ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი საინვესტიციო ქონების იჯარიდან	13	1,805,809	1,684,077
შემოსავალი საცხებ-საპოხი მასალების რეალიზაციიდან	13	1,938,070	1,412,294
სხვა შემოსავალი		679	3,065
სულ შემოსავალი		3,744,558	3,099,436
საცხებ-საპოხი მასალების თვითღირებულება		(1,419,346)	(1,057,054)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14	(292,632)	(226,089)
ცვეთა და ამორტიზაცია		(314,065)	(161,331)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(337,145)	(250,963)
საოპერაციო მოგება		1,381,370	1,403,999
ფინანსური შემოსავალი		115,446	139,129
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა		273,188	112,608
არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი), წმინდა		218,694	-
მოგება დაბეგვრამდე		1,988,698	1,655,736
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(2,908)
მთლიანი სრული მოგება		1,988,698	1,652,828

6-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ავიასაწვავსერვის ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	4,155	6,874,324	-	6,878,726
დივიდენდები	-	(747,650)	-	(747,650)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	1,652,828	-	1,652,828
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	4,155	7,779,502	-	7,783,657
ზრდა	-	-	60,000	60,000
დივიდენდები	-	(900,000)	-	(900,000)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	1,988,698	-	1,988,698
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	4,155	8,868,200	60,000	8,932,355

6-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ავიასაწვავსერვისის ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს ავიასაწვავსერვისისა (დედა კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის შპს ჯიოილისთვის (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“ ან „ავიასაწვავსერვისის ჯგუფი“) 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

დედა კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1996 წელს. ის რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით 208145130.

დედა კომპანია ძირითადი საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის ფლობს საინვესტიციო ქონებას, რომლის გაქირავებიდან იღებს საიჯარო შემოსავალს. ასევე, ჯგუფის საოპერაციო საქმიანობას წარმოადგენს საცხებ-საპოხი მასალებითა და ფილტრებით ვაჭრობა.

2019, 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელები არიან:

მფლობელები	წილი %
ირაკლი დაბრუნდაშვილი	48.7%
სიმონი გეგელაშვილი	7.8%
ვლადიმერ ფახიროვი	7.8%
გივი ივანიშვილი	7.8%
შოთა კახურაშვილი	6.7%
ამირანი ოთარაშვილი	5.6%
ნელი კოვზირიძე	2.225%
თამარ გელაშვილი	2.225%
ნინო გელაშვილი	2.225%
ქეთევან გელაშვილი	2.225%
მეგი იმნაიშვილი	
მარეხი იმნაიშვილი	
მირიან იმნაიშვილი	6.7%
ლალი იმნაიშვილი	

2019, 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

დედა კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი - შპს ჯიოილი, რომელშიც ფლობს წილის 100%-ს. შპს ჯიოილის საოპერაციო საქმიანობა, დედა კომპანიის მსგავსად, საცხებ-საპოხი მასალებითა და ფილტრებით ვაჭრობაა.

ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის ხვედელიანის ქუჩა 1.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ეს არის ჯგუფის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და ფასს 35-ის შესაბამისად (მსს ფასზე გადასვლა).

ჯგუფი აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ლარამდე დამრგვალებით თუ სხვაგვარად არაა მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ჯგუფის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ჯგუფის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების შესაფასებლად ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას და შემდგომ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით.

საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა საინვესტიციო ქონებას ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მისადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

კომპანია როგორც მეთიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისას და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2019, 2018 წლების 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის **3.**

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფის მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ავიასაწვავსერვისის ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	სულ
31 დეკემბერი 2017	887,972	4,861,373	5,749,345
შემოსვლა	-	15,444	15,444
გასვლა	-	(19,080)	(19,080)
31 დეკემბერი 2018	887,972	4,857,737	5,745,709
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	(200,489)	(200,489)
31 დეკემბერი 2019	887,972	4,657,248	5,545,220
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2017	-	(2,402,848)	(2,402,848)
წლის ცვეთა	-	(155,677)	(155,677)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	18,504	18,504
31 დეკემბერი 2018	-	(2,540,021)	(2,540,021)
წლის ცვეთა	-	(276,010)	(276,010)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(2,816,031)	(2,816,031)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	887,972	2,317,716	3,205,688
31 დეკემბერი 2019	887,972	2,841,217	2,729,189

ჯგუფის საინვესტიციო ქონების ძირითად ნაწილს შეადგენს ნავთობბაზა, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. აღნიშნული ქონება ჯგუფს საოპერაციო იჯარით აქვს გადაცემული ადგილობრივი ნავთობკომპანიისთვის.

ჯგუფი, ასევე, ფლობს რამდენიმე ბენზინ ავტოგასამართ სადგურს, რომლებსაც აქირავენ საიჯარო შემოსავლების მიღების მიზნით.

ავიასაწვავსერვის ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2018	1,785	22,333	-	24,118
შემოსვლა	81,218	32,082	206,234	319,534
გასვლა	(39,970)	-	-	(39,970)
31 დეკემბერი 2019	43,033	54,417	206,234	303,684
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2018	(92)	-	-	(92)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	4,173	-	-	4,173
წლის ცვეთა	(6,822)	(12,620)	(18,344)	(37,786)
31 დეკემბერი 2019	(2,741)	(12,620)	(18,344)	(33,705)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2018	1,693	22,333	-	24,026
31 დეკემბერი 2019	40,292	41,797	187,890	269,979

7. ინვესტიციები

	წილი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შპს ავიაკომპანია თუშეთი	20%	1,400	1,400
სულ ინვესტიციები		1,400	1,400

ჯგუფის ხელმძღვანელობა ინვესტიციებს აღრიცხავს თვითღირებულებით, გაუფასურების გამოვლენილი დანაკარგების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავიასწავსერვისი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საცხებ-საპოხი მასალები	1,558,979	1,000,235
ფილტრები	67,950	127,671
სხვა	15,671	30,204
სულ მარაგები	1,642,600	1,158,110

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	413,739	469,415
	413,739	469,415
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(89,372)	(89,372)
	324,367	380,043
არაფინანსური მოთხოვნები		
სხვა მოთხოვნები	-	8,674
	-	8,674
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	324,367	388,717

სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე	101,036	166,658
ვადაგადაცილებული:		
1-დან 30 დღემდე	53,761	50,382
30-დან 120 დღემდე	27,877	105,803
121-დან 365 დღემდე	134,144	71,272
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	96,921	75,300
სულ	413,739	469,415

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის არ ყოფილა. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება არ განსხვავდება მათ რეალურ ღირებულებისგან, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

ავიასაწვავსერვისი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

	დასრულების თარიღი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სს თიბისი ბანკი	23 იანვარი 2020	1,473,998	-
სს ლიბერთი ბანკი	18 ივლისი 2020	1,007,257	-
სს თიბისი ბანკი	11 ივლისი 2019	-	1,338,300
სს თიბისი ბანკი	11 აპრილი 2018	-	1,338,300
სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები		3,481,255	2,676,600

დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, ჯგუფს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული აქვს ვადიანი დეპოზიტები (აშშ დოლარში), რომელთა წლიური საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 2.7%-დან 5.15%-მდე.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული სალაროში	4,640	2,935
ფული საბანკო ანგარიშებზე ქართულ ლარში	550,051	44,222
ფული საბანკო ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	370,935	895,662
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	925,626	942,819

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	573,486	863,280
სხვა ვალდებულებები	9	177
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	573,495	663,457

13. შემოსავალი

დედა კომპანია ძირითადი საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის ფლობს საინვესტიციო ქონებას, რომლის გაქირავებიდან იღებს საიჯარო შემოსავალს. ასევე, ჯგუფის საოპერაციო საქმიანობას წარმოადგენს საცხებ-საპოხი მასალებითა და ფილტრებით ვაჭრობა.

ჯგუფის სანვესტიციო ქონების ძირითად ნაწილს შეადგენს ნავთობბაზა, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. აღნიშნული ქონება ჯგუფს საოპერაციო იჯარით აქვს გადაცემული ადგილობრივი ნავთობკომპანიისთვის.

ჯგუფი ასევე, ფლობს რამდენიმე ბენზინ ავტოგასამართ სადგურს, რომლებსაც ასევე, აქირავებს საიჯარო შემოსავლების მიღების მიზნით.

ავიასაწვავსერვისი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2019	2018
ხელფასები	(90,520)	(223,389)
ბონუსები და სხვა სარგებელი	(2,112)	(2,700)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(292,632)	(226,089)

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
საგადასახადო ხარჯები (მოგების გადასახადის გარდა)	(90,687)	(59,360)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(89,373)	(29,211)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურებების ხარჯები	(62,227)	(8,888)
იჯარის ხარჯები	(31,611)	(39,293)
კომუნალური ხარჯები	(19,727)	(11,492)
ოფისის ხარჯები	(7,067)	(1,958)
მივლინების ხარჯები	(2,630)	(12,831)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(1,627)	(4,273)
საწვავის ხარჯი	-	(32,708)
სარეკლამო ხარჯები	-	(12,371)
კომუნიკაციის ხარჯები	-	(7,572)
სხვა	(32,196)	(31,006)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(337,145)	(250,963)

16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - დაგროვილი სავაჭრო მოთხოვნის გადაუხდელობის გამო, 2013 წლის 30 ოქტომბერს ჯგუფმა კლიენტთან გააფორმა ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით ქალაქ ბათუმში მდებარე ორ მიწის ნაკვეთზე (1830 კვ. მ და 1015 კვ. მ). იქიდან გამომდინარე, რომ მესაკუთრეებმა არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და დათქმულ დროს არ გამოსყიდეს ქონება, 2015 წლის 12 აგვისტოს ჯგუფმა მოხსნა შეზღუდვა ქონებაზე და გახდა აღნიშნული ქონების სრულფასოვანი მესაკუთრე (მოცემულ თარიღშივე მოხდა ამ ქონების აღიარება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში).

ქონებაზე ვალდებულების რეგისტრაციის გაუქმებიდან 1 წლის ვადაში ყოფილმა მესაკუთრეებმა აღძრეს დამოუკიდებელი სარჩელი და მოითხოვეს არსებული გარიგების ბათილად ცნობა და საკუთრების დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განხილვის შემდეგ არ დააკმაყოფილა აღნიშნული სარჩელი. ყოფილმა მესაკუთრეებმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და საქმე გადაეცა სააპელაციო სასამართლოს. ამ დროისთვის დავის სტატუსი არის მიმდინარე.

საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული აღნიშნული სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ამ ცალკეულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო დანაკარგებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები

პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ჯგუფის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია

გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

კორონავირუსთან დაკავშირებით. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. თუმცა, რადგან კომპანია წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირს, გარკვეულ შეზღუდვებს მის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია. ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიაზე ვირუსის შესაძლო ეფექტის განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელოდა არსებით უარყოფით ეფექტს

პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

ავიასაწვავსერვის ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ამის საფუძველზე, კორონავირუსის ეფექტი, მის ფასს-ების შესაბამისად, არის 'არამაკორექტირებელი მოვლენა' და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო.

2020 წლის 10 მარტს პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოცხადდა დივიდენდი 800,000 ლარის ოდენობით. დივიდენდის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად და სრულად გაიცეს 2020 წლის ბოლომდე.